

## საქართველოს კანონი

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1998 წელი №11-12) შეტანილი იქნას შემდეგი ხასიათის ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასათანადო რეკლამა – არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო, არაეთიკური, **შეცდომაში შემყვანი** ან სხვა რეკლამა, რომელშიც დარღვეულია მისი შინაარსის, დროის, ადგილის ან გავრცელების წესის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი მოთხოვნები“.

2. მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**შეცდომაში შემყვანი რეკლამა** - რეკლამა, რომლის მეშვეობითაც რეკლამის დამკვეთს (რეკლამის მწარმოებელს, რეკლამის გამავრცელებელს) განზრახ შეჰყავს შეცდომაში რეკლამის მომხმარებელი და რომელსაც შეუძლია დააზიანოს კონკურენტი“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი:

მიხეილ სააკაშვილი